სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 28.05.2014 წელი ოქმი №20	დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 30.05.2014 წელი ოქმი№15
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 18.01.2018 წელი ოქმი №10	ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 22.01.2018 წელი ოქმი№ 2
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 19.03.2018 წელი ოქმი № 15	ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 19.03.2018 წელი ოქმი № 6
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 31.05.2018 წელი ოქმი № 24	ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 30.05.2018 წელი ოქმი № 9
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 04.06.2018 წელი ოქმი № 25	ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 08.06.2018 წელი ოქმი № 10
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 28.05.2020 წელი ოქმი № 10	ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 01.06.2020 წელი ოქმი № 3
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე 08.07.2020 წელი ოქმი № 14	ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 08.07.2020 წელი ოქმი № 4

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /მანანა ღარიბაშვილი/

თელავი, 2014

აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I
ზოგადი ნაწილი

მუხლი 1.

წინამდებარე დებულება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") წესდების საფუძველზე, ადგენს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს.

მუხლი 2.

2.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2.2. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს:

- დოქტორს ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებულ პირს;
- ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის დოქტორანტს.

2.3.

ა/. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 65 წელს გადაცილებული პირის აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში დაშვების შესაძლებლობის შესახებ საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე და იღებს გადაწყვეტილებას მიმართულების საჭიროებიდან (სპეციფიკიდან) გამომდინარე (დანართი 2.)

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.).

ბ/. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 65 წელს გადაცილებული პირის აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში დაშვების შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

გ/. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

2.4. კონკურსი ცხადდება შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

- **პროფესორის;**
- **ასოცირებული პროფესორის;**
- **ასისტენტ-პროფესორის;**
- **ასისტენტის.**

პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების

სამეცნიერო–კვლევით მუშაობას;

ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასაწავლო და კვლევით მუშაობას;

ასისტენტ–პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო–კვლევით პროცესში;

ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ–პროფესორის ხელმძღვანელობით.

2.5. **პროფესორის და ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადა განისაზღვრება **6 (ექვსი)** წლის ვადით.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

ასისტენტ–პროფესორისა და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადა განისაზღვრება **4 (ოთხი)** წლის ვადით.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

მუხლი 3.

3.1. **კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს:**

- ავტობიოგრაფია (CV)
- პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი
- 2 (ორი) ფოტოსურათი
- სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

3. 2. **კონკურსანტის კომპეტენტურობის დასადგენად განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნები:**

ა) **პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

- მინიმუმ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების ერთ-ერთ საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა;
- ბოლო **ექვსი** წლის განმავლობაში მინიმუმ **ორ** სამეცნიერო (მათ შორის ერთი აუცილებლად საერთაშორისო) ფორუმში (კონფერენცია/კონგრესი/ სიმპოზიუმი) მონაწილეობა (დარგთან შესაბამისად);

  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- ბოლო **ექვსი** წლის განმავლობაში გამოქვეყნებული დარგთან შესაბამისი **ორი** საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №2 22.01. 2018წ.)
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- წასაკითხად შემოთავაზებული **ორი** სასწავლო კურსის სილაბუსი, რომლებიც შემუშავებული იქნება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსის ფორმის გათვალისწინებით (დამოწმებული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ);

  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- სადოქტორო / სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა / პუბლიკაცია იმპაქტ ფაქტორიან (Impact Factor) სამეცნიერო ჟურნალში / მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით / საგანმანათლებლო პროექტში.

  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №2 22.01. 2018წ.)
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)
- დარგის განვითარების კონცეფცია.

  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

ბ) **ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

- ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი.

  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №4 08.07.2020წ.)

გ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 (ოთხი) წლის ვადით.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №4 08.07.2020წ.)

დ) ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 4 წლის ვადით

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №4 08.07.2020წ.)

შენიშვნა: სასწავლო კურსზე (აკადემიური წერა) აკადემიური თანამდებობის გამოცხადების შემთხვევაში, ყველა მოთხოვნა სავალდებულოა, გარდა „დარგთან შესაბამისობისა".

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

3. 3. კონკურსანტს, კომპეტენტურობის დასადგენად, დამატებით შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია საკონკურსო ვადაში განხორციელებული შემდეგი აქტივობების შესახებ:

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №10 08. 06.2018წ.)

- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა;
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზენტობა (ოპონირება);
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა;
- დარგთან დაკავშირებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა;
- პროფესიულ საქმიანობასთან/დარგთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით/ საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა;
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)*
- დარგთან დაკავშირებულ სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენცია/კონგრესი/ სიმპოზიუმი) მონაწილეობა და სერტიფიკატების ფლობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;
  (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №2 22.01. 2018წ.)
- წაკითხული სალექციო კურსების ჩამონათვალი (დამოწმებული პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ);
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №10 08.06.2018წ.)
- პროფესიულ საქმიანობასთან/დარგთან დაკავშირებული მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს/სალექციო კურსის/რიდერის/ბროშურის ავტორობა; რედაქტორობა/რეცენზენტობა;
- სამეცნიერო ჟურნალის საორგანიზაციო/სარედაქციო/საგამომცემლო საბჭოს/ კოლეგიის/კომიტეტის წევრობა; რედაქტორობა; სტატიის რეცენზირება;
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ/კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში მონაწილეობა (დადასტურებული სერტიფიკატით ან ცნობით);

- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური/ წარმომადგენლობითი/სადისერტაციო საბჭოების/კოლეგიების, აგრეთვე, დარგობრივი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიების/ასოციაციების/საბჭოების საზოგადოების წევრობა;
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)
- პროფესიულ საქმიანობაში/დარგში ტრენერობა/ექსპერტობა;
- დარგთან დაკავშირებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
- *(ამოღებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)*
- ახალი სასწავლო კურსის დანერგვა;
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- სამეცნიერო ფორუმის ორგანიზება-ჩატარება;
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური წახალისებები (მადლობა/ჯილდო/პრემია/საპატიო წოდება/ორდენი).

შენიშვნა:

- **ნებისმიერი აქტივობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დამოწმებულად (ოფიციალური პირის ხელმოწერა, ბეჭედი) და დანართი 1.-ის სტრუქტურის შესაბამისად;**
  (დამტკიცებულიაწარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

- **კონკურსანტი ვალდებულია, არაქართული წარმოების დოკუმენტები წარმოადგინოს ქართულ ენაზე თარგმნილი და სანოტარო წესით დამოწმებული სახით.**
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

მუხლი 4.

4.1. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღების დაწყებამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) თვით ადრე და კონკურსის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2(ორი) თვისა.
4.2. კონკურსანტთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) წარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ და გრძელდება არაუმეტეს ორი კვირისა.
4.3. კონკურსანტთა რეგისტრაციის დასრულებიდან არაუმეტეს ორი კვირისა, ტარდება კონკურსი.

4.2. კონკურსის გამოცხადება:
ა) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, წერილობით მიმართავს აკადემიურ საბჭოს კონკურსის გამოცხადების თაობაზე;
ბ) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საკონკურსო ადგილებსა და მისი ჩატარების თარიღს ამტკიცებს რექტორი და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.
4.3. კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების შესახებ განცხადება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, საინფორმაციო დაფაზე და გაზეთში. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, კონკურსის ჩატარების დღე, კონკურსანტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №6 19.03. 2018წ.)

მუხლი 5.

კონკურსში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

5.1. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციისა და საორგანიზაციო საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი სარეგისტრაციო კომისია მინიმუმ 3 (სამი) წევრის შემადგენლობით, რომელთაგანაც ერთი არის თავმჯდომარე.

5.2. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განცხადებებს იღებს და რეგისტრაციაში ატარებს კომისია განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 17 საათამდე.

5.3. საკონკურსო განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დადგენილი ფორმით, რომლის გაცნობა და შევსების შესახებ კონსულტაციის მიღება იწარმოებს სარეგისტრაციო კომისიაში. საკონკურსო განცხადების ფორმას ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო **(დანართი 3.)**.

5.4 საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობის (სისწორის) დადგენა.

5.5. დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის მიმართ წაყენებულ პირობებს, უნდა იქნეს წარმოდგენილი დედნისა და ასლის სახით, რომელიც მოწმდება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერითა და კანცელარიის ბეჭდით.

5.6. კომისიის მიერ, კონკურსანტის განცხადების მიღების შემთხვევაში, გაიცემა განაცხადის მიღების ხელწერილი რეგისტრაციის შესახებ **(დანართი 4.)**. ამასთან, კონკურსანტს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, ასლები კი რჩება სარეგისტრაციო კომისიაში.

5.7. კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია, წერილობით გამოხატოს თანხმობა:

ა/. „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ" დებულების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ/. შრომითი ურთიერთობის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, მათ შორის თანხმობა, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდეს პროფესორი კვირაში მინიმუმ სამი სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი მინიმუმ ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში **(დანართი 5.)**.

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალიწინებით, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, შესაძლებელია, განისაზღვროს ინდივიდუალური გრაფიკი.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №4 08.07.2020წ.)

5.8. მიმართულებისა და საკონკურსო ადგილის მითითებით რეგისტრირებულ კონკურსანტთა სია ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე.

5.9. წარმოდგენილ დოკუმენტებში არასწორი მონაცემების და/ან გაყალბების ნიშნების აღმოჩენისას, კონკურსანტის რეგისტრაცია უქმდება უპირობოდ, რაზეც დგება შესაბამისი ოქმი და ეცნობება კონკურსანტს.

5.10. კომისიის გადაწყვეტილებები (მათ შორის კონკურსანტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ) შეიძლება გასაჩივრდეს კონკურსანტის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში.

5.11. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ინახება 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

II თავი
ძირითადი ნაწილი

მუხლი 6.

6.1. აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით ქმნის საკონკურსო კომისია(ებ)ს (შემდგომში კომისია), რომლის შემადგენლობაშიც იქნება დარგის მინიმუმ ერთი სპეციალისტი და კომისიის თავმჯდომარე.

6.2. რექტორი უფლებამოსილია, სხვა ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლიდან/ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიდან/საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციიდან მოიწვიოს კომისიის წევრობის კანდიდატ(ებ)ი.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

6.3. კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი.

6.4. კონკურსანტი ვერ მიიღებს მონაწილეობას კომისიის შემადგენლობაში.

(*დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.*)

მუხლი 7.

7.1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

7.2. კომისიების მუშაობის რეჟიმი და საქმის წარმოება განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, რომელსაც აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

7.3. კონკურსანტთა შორის თანაბარი შედეგების შემთხვევაში უპირატესობის მისანიჭებლად კომისია უფლებამოსილია გაითვალისწინოს:

- კონკურსანტის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ წერილობითი ინფორმაცია;
- დისციპლინური სახდელის ქონა;
- *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)*
- წაკითხული სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მათი შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან (დამოწმებული პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერით);
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №10 08.06.2018წ.)
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული წახალისებ(ებ)ის ქონა (მადლობა/ჯილდო/პრემია/საპატიო წოდება/ორდენი);
- სამეცნიერო ნაშრომების საკონკურსო თანამდებობასთან შესაბამისობა;
- უცხო ენების ცოდნის დონე;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)*
- მეცნიერებათა აკადემიის შეფასების ანგარიშში არსებული ინფორმაცია;
- *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №10 08.06.2018წ.)*
- დარგთან დაკავშირებული სხვა აქტივობა.

7.4. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო კომისიის წევრთა შორის კანდიდატის თაობაზე აზრის გაყოფისა და ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

7.5 კომისიები მუშაობის შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

7.6. კომისიების მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

7.7. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატურის დამტკიცების თაობაზე, რაც ფორმდება საბჭოს თავმჯდომარის, რექტორის ბრძანებით.

შენიშვნა: სალექციო საათების შემცირების ან არარსებობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს აკადემიური თანამდებობის მქონე პირისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 8.

8.1. კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

ა) პირველ ეტაპზე კომისიის მიერ ხორციელდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

ბ) მეორე ეტაპზე ხდება კონკურსანტთან გასაუბრება, რათა დადგინდეს კონკურსანტის პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან, რაც შეფასდება ორი სახის მაჩვენებლით – **შეესაბამება/არ შეესაბამება**; კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გასაუბრების ვიდეო ჩაწერა.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, ოქმი №3 01.06.2020წ.)

გ) მესამე ეტაპზე, კონკურსანტის მიერ პირველი და მეორე ეტაპის გავლის შემთხვევაში, კონკურსის კრიტერიუმების საფუძველზე (**დანართი 1.**), დგინდება საკონკურსო რეიტინგული ქულა და ივსება კონკურსანტის საკონკურსო ბარათი (**დანართი 6.**). საკონკურსო ქულა დგინდება პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისათვის ბოლო 6 (ექვსი) წლის, ხოლო ასისტენტ-პროფესორისათვის ბოლო 4 (ოთხი) წლის განმავლობაში არსებული აქტივობების შეფასების საფუძველზე.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №4 08.07.2020წ.)

შენიშვნა:

- ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 15 ქულა (მინიმალური გადასალახი ზღვარი) შემდეგი აუცილებელი აქტივობებით: სამეცნიერო პუბლიკაციებით (მინიმუმ ორი); სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობით (მათ შორის ერთი მაინც საერთაშორისო); სასწავლო კურსების სილაბუსებითა და დარგის განვითარების კონცეფციით;
- ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 10 ქულა (მინიმალური გადასალახი ზღვარი) შემდეგი

აუცილებელი აქტივობებით: სამეცნიერო პუბლიკაციით; სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობით; სასწავლო კურსის სილაბუსითა და დარგის განვითარების კონცეფციით.
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №4 08.07.2020წ.)

8.2. არასწორი მონაცემების და/ან გაყალბების ნიშნების აღმოჩენისას, ან არაეთიკური ქმედების რაიმე სახით გამოვლენის შემთხვევაში, კონკურსანტი იხსნება კონკურსიდან.

8.3. კომისია ვალდებულია, შეადგინოს ,,აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი", რომელშიც აისახება ინფორმაცია თითოეული კონკურსანტის შესახებ და კენჭისყრის შედეგები.
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

8.4. ვაკანსიის შემთხვევაში ცხადდება ხელახალი კონკურსი.

მუხლი 9.
კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი

9.1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან სამი დღის განმავლობაში არჩევნებში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

9.2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ვალდებულია, საჩივრის შეტანიდან სამი დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

9.3. კონკურსის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ დაირღვა ამ დებულებით დადგენილი წესი, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია კონკურსანტის შერჩევის შედეგზე.

9.4. *(ამოღებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)*

9.5. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

III თავი
დასკვნითი ნაწილი

მუხლი 10.

10.1. დებულება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

10.2. დებულებაში ცვლილებების შეტანის ინიციატივის უფლება აქვს რექტორს და აკადემიური საბჭოს წევრთა 1/3-ს, ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეცემა წარმომადგენლობით საბჭოს.

10.3. დებულება დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს წარმომადგენლობითი საბჭოს უბრალო უმრავლესობა.

10.4. დებულების ძალაში შესვლისთანავე აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის წესთან დაკავშირებული ყველა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ცხადდება ძალადაკარგულად.

მუხლი 11.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

დანართები: 1–6 წარმოადგენს დებულების განუყოფელ ნაწილს

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი: /მანანა ღარიბაშვილი/

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 72401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

დანართი 1.

პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ–პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტის

შეფასების კრიტერიუმები

1. აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა:
   - *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)*
   - ერთწლიანი საგანმანათლებლო - 2 ქულა
     (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
   - საბაკალავრო – 3 ქულა
   - სამაგისტრო/ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო – 4 ქულა
   - სადოქტორო – 5 ქულა
     (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

2. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; რეცენზენტობა(ოპონირება):

2.1. ხელმძღვანელობა
   - საბაკალავრო შრომაზე *(შეფასდება მაქსიმუმ 6 (ექვსი) შრომა)* – 2 ქულა
   - მოქმედი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა – 2 ქულა
   - დაცულ სამაგისტრო შრომაზე – 3 ქულა
   - მოქმედი დოქტორანტის ხელმძღვანელობა – 4 ქულა
   - დაცულ სადოქტორო შრომაზე – 5 ქულა
     (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

2.2. რეცენზენტობა (ოპონირება):
   - სამაგისტრო შრომაზე – 2 ქულა
   - სადოქტორო შრომაზე – 3 ქულა

3. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა:
   - ბაკალავრიატი *(შეფასდება მაქსიმუმ 6 (ექვსი) სტუდენტის ხელმძღვანელობა)* – 2 ქულა
     (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
   - მაგისტრატურა –3 ქულა
   - დოქტორანტურა – 4 ქულა
     (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

4. წასაკითხად შემოთავაზებული დარგთან დაკავშირებული სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი:

- *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)*
- ბაკალავრიატი/ერთწლიანი საგანმანათლებლო – 2 ქულა
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- მაგისტრატურა/ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო – 3 ქულა
- დოქტორანტურა – 4 ქულა
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

შეფასდება :

- პროფესორის თანამდებობაზე მაქსიმუმ 2 (ორი) სილაბუსი
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე მაქსიმუმ 2(ორი) სილაბუსი
- ასისტენტ–პროფესორის თანამდებობაზე მაქსიმუმ 1 (ერთი) სილაბუსი

5. პროფესიულ საქმიანობასთან/დარგთან დაკავშირებული სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის/სალექციო კურსის/რიდერის/ბროშურის ავტორობა/თანაავტორობა; რედაქტორობა/ რეცენზენტობა:

5.1. ავტორობა/თანაავტორობა

- სახელმძღვანელო –5 ქულა
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- მონოგრაფია – 5 ქულა
  (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 3 0.05.2018წ.)
- სალექციო კურსი *(მოქმედი აკრედიტებული პროგრამების ფარგლებში მომზადებული)* – 3 ქულა
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)
- ბროშურა *(შეფასდება მაქსიმუმ 2(ორი) ბროშურა)* – 3 ქულა
- რიდერი *(მოქმედი აკრედიტებული პროგრამების ფარგლებში მომზადებული)* – 2 ქულა
  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

5.2. რედაქტორობა/რეცენზენტობა

- რედაქტორობა – 3 ქულა
- რეცენზენტობა –3 ქულა

შენიშვნა: გამოქვეყნებულ ნაშრომს ლეგალურობის დასადასტურებლად სავალდებულოა:

1. *ჰყავდეს რედაქტორი და რეცენზენტ(ებ)ი, რაც დაადასტურებს, რომ ნაშრომი არის ორიგინალური, ინდივიდუალური. არ წარმოადგენს პლაგიატს.*
2. *მითითებული ჰქონდეს: ISBN წიგნის გამოცემის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი, რომელსაც გასცემს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ISBN-ის, ISMN-ისა და ISSN-ის საერთაშორისო სტანდარტული ნომრების განყოფილება და რაც ლეგალურს, კანონიერს ხდის თვით გამავრცელებლის საქმიანობას;*
3. *მითითებული ჰქონდეს საგამომცემლო/სასტამბო რეკვიზიტები;*
   (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

6. პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში მონაწილეობა (დადასტურებული სერტიფიკატით ან ცნობით):

- საერთაშორისო – 3 ქულა
- ადგილობრივი – 2 ქულა

(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

7. პროფესიულ საქმიანობაში/დარგში ტრენერობა/ექსპერტობა:

- საერთაშორისო –3 ქულა
- ადგილობრივი – 2 ქულა

8. პროფესიულ საქმიანობასთან/დარგთან დაკავშირებულ გაცვლით პროგრამებში/ სამეცნიერო კვლევით/საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა – 3 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

9. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

- პუბლიკაცია სკოპუსის (Scopus) ან ტომსონ როიტერსის (Thomson Reuters) ან web of science/ERIHPLUS სამეცნიერო ბაზებში რეგისტრირებულ ჟურნალებში - 5 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

- პუბლიკაცია საერთშორისო ინდექსირებულ (Peer Reviewed) ან იმპაქტ ფაქტორიან (Impact Factor) სამეცნიერო ჟურნალში – 4 ქულა
- პუბლიკაცია საერთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალში – 3 ქულა
- პუბლიკაცია ადგილობრივ და/ან საზღვარგარეთ სამეცნიერო ჟურნალში – 2 ქულა

შეფასდება:

- პროფესორის თანამდებობაზე მაქსიმუმ **7** (შვიდი) შრომა
- ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე მაქსიმუმ **6** (ექვსი) შრომა
- ასისტენტ–პროფესორის თანამდებობაზე მაქსიმუმ **4** (ოთხი) შრომა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

10. დარგთან დაკავშირებულ სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენცია/კონგრესი/ სიმპოზიუმი) მონაწილეობა და სერტიფიკატების ფლობა:

10.1. საერთაშორისო-სამეცნიერო

- მონაწილეობა (დადასტურებული პროგრამით) – 3 ქულა
- მონაწილეობა (დადასტურებული თეზისებით/მასალებით/სერტიფიკატით) – 4 ქულა

10.2. ადგილობრივი სამეცნიერო

- მონაწილეობა (დადასტურებული პროგრამით) – 2 ქულა
- მონაწილეობა (დადასტურებული თეზისებით/მასალებით/სერტიფიკატით) – 3 ქულა

11. დარგთან დაკავშირებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა:

11.1. საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტი

- ხელმძღვანელობა – 4 ქულა
- მონაწილეობა – 3 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

11.2. ადგილობრივი/რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტი

- ხელმძღვანელობა – 3 ქულა
- მონაწილეობა – 2 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

12. *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)*

13. სამეცნიერო ჟურნალის საორგანიზაციო/სარედაქციო/საგამომცემლო საბჭოს/ კოლეგიის/კომიტეტის წევრობა; რედაქტორობა; სტატიის რეცენზირება;

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

13.1. სამეცნიერო ჟურნალის საორგანიზაციო/სარედაქციო/საგამომცემლო საბჭოს/ კოლეგიის/კომიტეტის წევრობა/რედაქტორობა:

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში – 3 ქულა
- ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში –2 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

13.2. სტატიის რეცენზირება:

- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში – 2 ქულა
- ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში – 1 ქულა

14. ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სადისერტაციო საბჭოების, კოლეგიების, აგრეთვე, დარგობრივი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიების/ასოციაციების/საბჭოების/საზოგადოების წევრობა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.):

14.1. სადისერტაციო საბჭოს/კოლეგიის – 1 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №3 01.06.2020წ.)

14.2. საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიების/ასოციაციების/საბჭოების/საზოგადოების – 2 ქულა

14.3. ეროვნული სამეცნიერო აკადემიების/ასოციაციების/საბჭოების/საზოგადოების – 1 ქულა

15. ციტირების ინდექსი:

- 1–დან 10–მდე – 1 ქულა
- 10–დან 20–მდე – 2 ქულა
- 20–დან 30–მდე – 3 ქულა
- 30–ზე მეტი – 4 ქულა

16. *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)*

17. ახალი სასწავლო კურსის შექმნა-დანერგვა – 3 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

18. სამეცნიერო ფორუმ(ებ)ის ორგანიზება-ჩატარება - 3 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

19.ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/ წარმომადგენლობითი საბჭოების წევრობა:

19.1. აკადემიური საბჭოს წევრობა – 2 ქულა

19.2. წარმომადგენლობით საბჭოს წევრობა – 2 ქულა

19.3. ფაკულტეტის საბჭოს წევრობა - 2 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

20. დარგის განვითარების კონცეფცია - 2 ქულა

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №9 30.05.2018წ.)

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი: /მანანა ღარიბაშვილი/

სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 72401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

დანართი 2.

დანართი 2. დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 01 ივნისის #3 საოქმო დადგენილებით

2020 წლის 28 მაისის აკადემიური საბჭოს სხდომის დადგენილებით „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ“ დ ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი 2.3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2.3.

ა/. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 65 წელს გადაცილებული პირის აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში დაშვების შესაძლებლობის შესახებ საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე და იღებს გადაწყვეტილებას მიმართულების საჭიროებიდან (სპეციფიკიდან) გამომდინარე,
ბ/. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 65 წელს გადაცილებული პირის აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში დაშვების შესაძლებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
გ/. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი: /მანანა ღარიბაშვილი/